ხელშეკრულება №77

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების შესახებ

(CPV – 92331200)

თბილისი **25 მაისი 2017 წ**

ერთი მხრივ, სსიპ „მწერალთა სახლი“ (შემდგომში - „შემსყიდველი”), წარმოდგენილი დირექტორ-მენეჯერის ნატალია ლომოურის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თბილისი პარკი“ (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის გელა დიღმელაშვილი სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ,,მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისათვის“ „მთაწმინდის პარკში“ მდებარე ფუნიკულიორით მომსახურებას.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **130,00** (ას ოცდაათი) ლარს.

2.2. ერთი ბარათის ანგარიშზე დასარიცხი ქულების ღირებულება შეადგენს **65,00** (სამოცდახუთი) ლარს.

2.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

3. მომსახურების სახეობა და მიწოდების პირობები

3.1. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისთვის” „თბილისის მესამე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის“ პროექტის ფარგლებში, შემსყიდველის კუთვნილებაში არსებულ 2 ცალ ბარათზე **65,00** (სამოცდა ხუთი) ლარის ექვივალენტური ქულების დარიცხვას არაუგვიანეს 2017 წლის 30 მაისისა, მისამართზე: ქ.თბილისი, ფუნიკულიორის ზედა ფერდობი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. “მიმწოდებელი” ხელშეკრულების მთლიან ღირებულებაზე “შემსყიდველთან” ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს რის საფუძველზეც წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს (ანგარიშ-ფაქტურა; სასაქონლო ზედნადები; ინვოისი) საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით.

4.3. დაფინანსების წყარო: **საკუთარი შემოსავლები.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე “შემსყიდველის” მიერ იმ ,,მომსახურების“ მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს “მიმწოდებელმა” ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს “მიმწოდებელი”.

5.3. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, “შემსყიდველის” მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. “მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

ბ) დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შესაბამისად.

ბ)დროულად განიხილოს „მიმწოდებლის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარებმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8.3. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.

10.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების კონტროლი

11.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

11.2. "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით.

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 10 ივლისამდე.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - ,,მიმწოდებელთან'', მეორე -,,შემსყიდველთან''.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

სსიპ „მწერალთა სახლი"
ს/კ 205299005
მის: ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის №13
ტელ: 2 974101, 2 974102

<u>**საბანკო რეკვიზიტები:**</u>
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
სახაზინო კოდი 33020126

,,მიმწოდებელი"

შპს „თბილისი პარკი"
ს/კ 404911789
მის: ქ.თბილისი, ფუნიკულიორის ზედა ფერდობი.
ტელ: 2 492323, 591913939

<u>**საბანკო რეკვიზიტები:**</u>
ს.ს. ,,საქართველოს ბანკი"
BAGAGE22
GE86BG0000000625208300

დირექტორ-მენეჯერი:

ნატალია ლომოური

დირექტორი:

გელა დიღმელაშვილი